დანართი 1:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 17 ივნისის N6098/01 წერილში წარმოდგენილ შენიშვნებზე რეაგირება

| N | შენიშვნის ავტორი | შენიშვნა | შენიშვნაზე რეაგირება |
|---|---|---|---|
| 1 | სოფელი სურების მოსახლეობა | „მიგვაჩნია, რომ ჩვენს ხეობაში ნებისმიერი ტიპის ჰესის მშენებლობა მიაყენებს გამოუსწორებელ ზიანს ჩვენს სოფელს და მისი განვითარების პერსპექტივებს. რასაც ნათლად ვხედავთ სხვა რეგიონებში დაგეგმილი თუ განხორციელებული პროექტების შემთხვევაში. ეს იქნება ისეთი მასშტაბური ჰესი, როგორიცაა ნენსკრა ჰესი ზემო სვანეთში, თუ მცირე ყაზბეგი ჰესი ხდის ხეობაში“ | ბარამიძე ჰესი წარმოადგენს დერივაციული ტიპის, მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს. ჰესის ინფრასტრუქტურის ობიექტები განთავსებული იქნება მდ. ბარამიძის წყლის ხეობაში და მდ. სუფსას ბუნებრივ ჩამონადენზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია 2.8 სიმაღლის დამბის მოწყობა ტიროლის ტიპის წყალმიმღებით, რომლის ზედა ბიეფში შექმნილი შეტბორვის სარკის ზედაპირის ფართობი არ იქნება 860 $მ^2$-ზე მეტი (შეტბორვა არ გასცდება მდინარის აქტიურ კალაპოტს). შესაბამისად ადგილობრივ კლიმატზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.<br><br>პროექტის მიხედვით დადგენილი, დამბის ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯი 0.450 $მ^3$/წმ გაანგარიშებულია საშუალო მრავალწლიური ხარჯის 15%-ის ოდენობით, რაც აღემატება მდინარის 90%-იანი უზრუნველყოფის მინიმალურ ხარჯს. გარდა ამისა საპროექტო მონაკვეთზე მდ. ბარამიძისწყალს ემატება 0.46 $მ^3$/წმ ხარჯი. გამომდინარე აღნიშნულიდან, მდინარის საპროექტო მონაკვეთზე შენარჩუნებული იქნება წყლის ბიოლოგიური გარემოს საარსებო გარემო.<br><br>აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰესის სადაწნეო მილსადენის განთავსება დაგეგმილია არსებული საავტომობილო გზის დერეფანში და მილსადენის მოსაწყობად ახალი დერეფნის მოწყობა საჭიროებას არ წარმოადგენს. შესაბამისად მინიმუმამდე მცირდება ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი.<br><br>ჰესის კომუნიკაციების უახლოესი საცხოვრებელი სახლებიდან დაცილების მანძილის (მინიმალური მანძილი 300 მ) გათვალისწინებით ადგილობრივ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. მოსალოდნელი არ არის ასევე ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება.<br><br>სს „სუფსა ენერჯი" მდ. სუფსაზე ადრეულ წლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელებას არ გეგმავს, რაზედაც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად უახლოესი დასახლებული პუნქტების ბუნებრივი გარემოს ცვლილებას ადგილი არ ექნება არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ფაზაზე.<br><br>მიზანშეწონილია განცხადების ავტორები გაეცნონ ზახვი 3 ჰესის და საშუალა 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობებს და ადვილად დარწმუნდებიან, ისეთი პროექტის განხორციელება, როგორც ზარამიძე ჰესია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკებით არ ხასიათდება და შეუქცევად ცვლილებებს ადგილი არ აქვს.<br><br>ზარამიძე ჰესის ნენსკრა ჰესის პროექტთან შედარება მიუღებელია, ჰესის ტიპის, დადგმული სიმძლავრის და შესასრულებელი სამუშაოების რადიკალურად განსხვავებული მოცულობების გამო.<br><br>რაც შეეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოქმედი ჰესების საკითხს, სს „სუფსა ენერჯი"-ს ინიციატივით ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ჯგუფი ადგილზე გაეცნო იქ არსებულ მდგომარეობა. მათ თვალნათლივ დაინახეს, რომ მსგავსი ტიპის ჰესები, არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ფაზაზე, გარემოზე ზემოქმედებების მაღალ რისკებთან დაკავშირებული არ არის. ამასთანავე ჰესებში დასაქმებულია მხოლოდ ადგილობრივი მუშახელი, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. |
| 2 | სოფელი სურების მოსახლეობა | „მიგვაჩნია, რომ ჩვენი სოფლის და რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების ხელშეწყობა და ა. | ზარამიძე ჰესის პროექტის განხორციელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, სათიბი, საძოვარი) მიწის ნაკვეთების დაკარგვას ადგილი არ ექნება შესაბამისად სასოფლო- |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | შ. ჰესის აშენების შემთხვევაში კი გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ჩვენს საცხოვრებელ გარემოს“. | სამეურნეო დარგების განვითარებაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი არ არსებობს.<br><br>რაც შეეხება ეკოტურიზმის განვითარების ხელის შეშლას, ასეთი რისკი პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ მდ. ზარამიძისწყლის ხეობის დაახლოებით 4 კმ სიგრძის მონაკვეთის ათვისებას, სადაც მილსადენი განთავსებული იქნება არსებული გზის დერეფანში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიოლოგიურ გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რისკებს.<br><br>აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ხეობის საპროექტო მონაკვეთის ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.<br><br>ზარამიძე ჰესის პროექტის განხორციელება ტურიზმის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად არ უნდა ჩაითვალოს. ამის ნათელი მაგალითია იგივე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოქმედი ჰესები, რომელთა მშენებლობა და ექსპლუატაცია ტურისტული ნაკადების შემცირებასთან არ ყოფილა დაკავშირებული და ბოლო წლებში ამ მუნიციპალიტეტში ტურიზმი მაღალი ტემპით ვითარდება.<br><br>ასევე ჰესების მშენებლობის ეტაპზე არსებულმა პრაქტიკამ, ნათლად გამოაჩინა, რომ სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მკვეთრად იზრდება სოფლების ეკონომიკური აქტივობა, მაგ. დასაქმებული ადამიანების მსყიდველუნარიანობის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის, ადგილობრივი მცირე ბიზნეს საქმიანობების შემოსავლებს, რაც დამატებით ხელს უწყობს სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობებს. პროექტის ფარგლებში საჭირო სამშენებლო მასალების ყიდვა ხდება ადგილობრივს ბაზარზე, „ზარამიძეჰესი“-ს შემთხვევაში სამშენებლო მასალების შესყიდვა მოხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, რაც მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდასთან იქნება დაკავშირებული. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | სოფელი სურების მოსახლეობა | „კერძოდ, ბუნებრივი იერსახისა და ლანდშაფტის განადგურება/ცვლილება, მდინარის გაქრობა, რაც თევზის განადგურების გარდა სამუდამოდ შეცვლის სოფლის მიკროკლიმატს". | როგორც ზემოთ აღინიშნა, გურიის რეგიონში განხორციელებული ანალოგიური პროექტების (ბჟუჟა ჰესი, ბახვი 3 ჰესი, საშუალა 2 ჰესი) გამოცდილებიდან გამომდინარე, ზარამიძე ჰესის საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი იერსახის და ლანდშაფტის განადგურება/გაქრობა, მდინარის გაქრობა მხოლოდ საკითხის დრამატიზებისათვის არის ნახსენები და რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.<br><br>რაც შეეხება თევზის განადგურებასთან დაკავშირებულ მოსაზრებას ეს საკითხიც ტენდენციურად არის ნახსენები. მართალია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთზე მდინარეში შემცირდება წყლის დონე, მაგრამ დამბის ქვედა ბიეფში მუდმივად იქნება გატარებული 0.45 მ³/წმ-დან 0.9 მ³/წმ-მდე ხარჯი, რაც მნიშვნელოვანად აღემატება მდინარის 90%-იანი უზრუნველყოფის მინიმალურ ხარჯებს. ამასთანავე სათავე ნაგებობაზე, რომლის სიმაღლე იქნება 2.8 მ დაგეგმილია თევზსავალის მოწყობა. ყოველივე უზრუნველყოფს თევზის ბუნებრივ პირობებთან მიახლოებულ საარსებო გარემოს. მართალია ეს არ იქნება ოპტიმალური პირობები, მაგრამ თევზის განადგურების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია. |
| 4 | სოფელი სურების მოსახლეობა | „გარდა ამისა, ჩვენთვის გაუგებარია, რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ ან მცირე ჰესით, იმის საპირწონე რა ზიანსაც მოიტანს პროექტი. ჩვენ გავეცანით გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსს და ნათელია, რომ სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ასაბუთებს პროექტის საჭიროებას და მის აუცილებლობას" | საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მიხედვით სკოპინგის ანგარიში წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის პირველ ეტაპს და ის უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების რისკების წინასწარ შეფასებას და გზშ-ის ფაზაზე შესასწავლი საკითხების განსაზღვრას. წინამდებარე ანგარიშში დეტალურადაა განხილული ყველა აღნიშნული საკითხის და მოცემულია გზშ-ის ფაზაზე შესასწავლი საკითხების ნუსხა.<br><br>პროექტის განხორციელება დაგეგმილია საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | წარმოადგენს მცირე ჰესების განვითარების თაობაზე სამთავრობო პროგრამის შემადგენელ ნაწილს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა დამატებით მიიღებს 36.17 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის თვალსაზრისით. ადგილობრივი ბიუჯეტი მიიღებს დამატებით შემოსავლებს ქონების და მიწის გადასახადის სახით. შეიქმნება დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილები, რომელზედაც დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. სს „სუფსა ენერჯი“ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით განახორციელებს სოციალურ პროექტებს.<br><br>გარდა ზემოთ აღნიშნულისა პროექტის განხორციელების შემთხვევაში გარკვეულად გააქტიურდება ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობები, რაც დადებითად წაადგება ადგილობრივ მოსახლეობას. |
| 5 | სოფელი სურების მოსახლეობა | „აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მივიღეთ გადაწვეტილება და მოვითხოვთ, არ აშენდეს „ზარამიძის წყალი ჰესი“ სუფსის ხეობაში“ | აღნიშნული განცხადების წარდგენის შემდეგ, სს „სუფსა ენერჯი“-ს მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარდა არაერთი შეხვედრა. შეხვედრების დროს მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია მიეწოდა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და გარკვეული ჯგუფების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ თითქოსდა ჰესის მოწყობა შეუქცევად ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული სინამდვილეს არ შეესაბამება.<br><br>როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციებით დადგინდა, პროექტს ეწინააღმდეგება უპირატესად არა ადგილობრივი ჯგუფები, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი არ არის.<br><br>აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის 80-მდე მოსახლის ხელმოწერით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია განცხადება, რომლითაც ადასტურებენ, რომ პროექტის წინააღმდეგი არ არიან და სურვილი აქვთ პროექტის განმხორციელებელთან შეხვედრის პროექტის კარგად გაცნობის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მიზნით. მოსახლეობის აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია და როგორც ზემოთ აღინიშნა სს „სუფსა ენერჯი“-ს წარმომადგენლების მიერ ჩატარებულია არაერთი შეხვედრა. |
| 6 | სოფელი სურების მოსახლეობა | „მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადრეულ ეტაპზე მიღებული ეს გადაწყვეტილება დაუზოგავს ფინანსურ და დროის რესურსებს, როგორც სამინისტროს, ისე ინვესტორს, ხოლო ჩვენ არ დაგვეკარგება ჩვენი სოფლის განვითარების შესაძლებლობა“ | გურიის რეგიონში განხორციელებული სხვა ანალოგიური პროექტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ზარამიძე ჰესის პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სურების თემის სოფლების განვითარებას და არა პირიქით. |

დანართი 2:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ირაკლი კუჭავას
ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
გურიის რეგიონის სახალხო დამცველის აპარატის უფროსს
ქალბატონ თამარ ოგანოვას

სოფელ ზემოსურების მოსახლეობის

# განცხადება

ბატონო ირაკლი,
ბატონო ზაალ,
ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემოსურებში მდინარე ზარამიძისწყალზე დაგეგმილია „ზარამიძე ჰესის" მშენებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით სოფელ ზემოსურებში არიან მომხრეები და მოწინააღმდეგეები. თუმცა, ამ დროისთვის მომხრეთა რაოდენობა გაცილებით მეტია. მოწინააღმდეგეები აქტიურად იბრძვიან იმისთვის, რომ არ აშენდეს ჰესი. ჩვენ მომხრეები გთხოვთ შეისწავლოთ ჰესის სარგებლობისა და საფრთხეების შესახებ საკითხი და დაგვიდგეთ გვერდში, რომ სოფლის მოსახლეობაში არ მოხდეს დაპირისპირება. ჰესის მშენებელ კომპანიას კი მიეცეს საშუალება სოფელს აუხსნას თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ჰესის აშენებას სოფლისთვის და ქვეყნისთვის.

ჩვენ, „ზარამიძე ჰესის" მშენებლობის მომხრე ზემოსურებლები ამ წერილში აღწერილ პოზიციას ვადასტურებთ ქვემოთ ხელმოწერით.

6 დეკემბერი, 2019 წელი.

| # | სახელი | გვარი | პირადი ნომერი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | [redacted] | | | |
| 2 | [redacted] | | | |
| 3 | [redacted] | | | |
| 4 | [redacted] | | | |
| 5 | [redacted] | | | |
| 6 | [redacted] | | | |
| 7 | [redacted] | | | |
| 8 | [redacted] | | | |
| 9 | [redacted] | | | |
| 10 | [redacted] | | | |
| 11 | [redacted] | | | |
| 12 | [redacted] | | | |
| 13 | [redacted] | | | |
| 14 | [redacted] | | | |
| 15 | [redacted] | | | |
| 16 | [redacted] | | | |
| 17 | [redacted] | | | |
| 18 | [redacted] | | | |
| 19 | [redacted] | | | |
| 20 | [redacted] | | | |
| 21 | [redacted] | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22 | [redacted] | | | |
| 23 | | | | |
| 24 | | | | |
| 25 | | | | |
| 26 | | | | |
| 27 | | | | |
| 28 | | | | |
| 29 | | | | |
| 30 | | | | |
| 31 | | | | |
| 32 | | | | |
| 33 | | | | |
| 34 | | | | |
| 35 | | | | |
| 36 | | | | |
| 37 | | | | |
| 38 | | | | |
| 39 | | | | |
| 40 | | | | |
| 41 | | | | |
| 42 | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 43 | [redacted] | | | |
| 44 | [redacted] | | | |
| 45 | [redacted] | | | |
| 46 | [redacted] | | | |
| 47 | [redacted] | | | |
| 48 | [redacted] | | | |
| 49 | [redacted] | | | |
| 50 | [redacted] | | | |
| 51 | [redacted] | | | |
| 52 | [redacted] | | | |
| 53 | [redacted] | | | |
| 54 | [redacted] | | | |
| 55 | [redacted] | | | |
| 56 | [redacted] | | | |
| 57 | [redacted] | | | |
| 58 | [redacted] | | | |
| 59 | [redacted] | | | |
| 60 | [redacted] | | | |
| 61 | [redacted] | | | |
| 62 | [redacted] | | | |
| 63 | [redacted] | | | |
| | | | | |

[redacted]

| | |
|---|---|
| 64 | [redacted] |
| 65 | [redacted] |
| 66 | [redacted] |
| 67 | [redacted] |
| 68 | [redacted] |
| 69 | [redacted] |
| 70 | [redacted] |
| 71 | [redacted] |
| 72 | [redacted] |
| 73 | [redacted] |
| 74 | [redacted] |
| 75 | [redacted] |
| 76 | [redacted] |
| 77 | [redacted] |
| 78 | [redacted] |
| 79 | [redacted] |
| 80 | [redacted] |
| 81 | [redacted] |

*||||||||||||||||||||||||||||||||*

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 28.20.22.006**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882019913440 - 04/11/2019 16:31:20** | **13/11/2019 18:09:11** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ჩოხატაური | ზემოსურები | | |
| **28** | **20** | **22** | **006** |

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო-სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 2003.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**28.20.01.294;**

**მისამართი: მუნიციპალიტეტი ჩოხატაური , სოფელი ზემოსურები**

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019913440 , თარიღი 04/11/2019 16:31:20**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/11/2019**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N191337295 , დამოწმების თარიღი:01/11/2019 ,ნოტარიუსი დავით იმნაძე

**მესაკუთრეები:**
**სააქციო საზოგადოება ,,სუფსა ენერჯი"** , ID ნომერი:405051624

**მესაკუთრე:** **აღწერა:**
**სააქციო საზოგადოება ,,სუფსა ენერჯი"**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19052543, 27/05/2019 18:58:08

---

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | სს სუფსა ენერჯი |
| **სამართლებრივი ფორმა:** | სააქციო საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 405051624 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 14/07/2014 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა კოსტავა , N 37-39, სართული 3 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: gchitashvili@anagi.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

---

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

---

## მმართველობის ორგანო

- დირექტორთა საბჭო

  თავმჯდომარე/წევრი: დავით ანდღულაძე, 61001020301

  წევრი: ლაშა იორდანიშვილი, 01012002881

- საერთო კრება

---

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- თავმჯდომარე - დავით ანდღულაძე, 61001020301

---

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge